სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
ლევან მიქელაძის სახელობის
დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი

ხელშეკრულება №31/22-22

„მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების" (CPVკოდი: 50112000); „მსუბუქი მანქანების სათადარიგო ნაწილების" (CPVკოდი: 34330000); სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 03 ივნისი 2022 წელი

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი , წარმოდგენილი დირექტორის ირინე დახუნდარიძეს სახით (შემდგომში - „შემსყიდველი") და მეორე მხრივ ს/ს „ჰიუნდაი ავტო საქართველო" წარმოდგენილი დირექტორის, დავით გიორგობიანის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის ბალანსზე რიცხული ავტომობილის „HYUNDAI ELANTRA 1.6 A/T"-ის „მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების (CPVკოდი: 50112000) გაწევა (140.0 ლარი) და მსუბუქი მანქანების სათადარიგო ნაწილების (CPVკოდი: 34330000) შეძენა (630.0 ლარი);

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **770.00 (შვიდას სამოცდაათი) ლარს**;

2.2. საქონლის ერთეულის და თანმდევი მომსახურების ღირებულება მოცემულია „№1 დანართში", რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს";

3. მომსახურების ოდენობა, სახეობა და მიწოდების პირობები

3.1. „შემსყიდველის" საჭიროების შესაბამისად „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს „№1 დანართში" „ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების" (CPVკოდი: 50110000) გაწევას ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წლის 03 ივლისის ჩათვლით;

3.2. გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღიარებულ სტანდარტებს;

3.3. „მიმწოდებელი" საქონელზე ქარხნული დეფექტის (წუნის) აღმოჩენის შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს დეფექტური საქონლის გამოცვლასა და შეცვლას.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. „მიმწოდებელი“ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების თაობაზე „შემსყიდველთან“ ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რისთვისაც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს (ანგარიშ-ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები) საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით;
4.3. „მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე „შემსყიდველის“ მიერ იმ მომსახურების და ასეთი მომსახურებისთვის საჭირო საქონლის მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს „მიმწოდებელმა“ ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და წესით;
5.2. შესყიდვის ობიექტის მიღების დროს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“;
5.3. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთვევაში „შემსყიდველის“ მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
5.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია: სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტი - ივანე სალუქვაძე;

6.მხარეთა უფლებები

6.1.„მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
6.1.1. სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში მოითხოვოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების და ასეთი მომსახურებისთვის საჭირო საქონლის ღირებულების დროული გადახდა;
6.2.„შემსყიდველს“ უფლება აქვს:
6.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურების და ასეთი მომსახურებისთვის საჭირო საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;
6.2.2. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი;

7. მხარეთა ვალდებულებები:

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.
7.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. და მე-6 მუხლის 6.1.1. პუნქტის შესაბამისად.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, „შემსყიდველის“ საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სახვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. თუ წინასწარი გაუთვალიწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია:

ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევების დროს;

ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ;

10.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

12.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო დააკისროს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;
12.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში დააკისროს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.
12.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.
12.4. იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს“ ან/და „მიმწოდებელს“ უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება;
12.5. საჯარიმო თანხების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

13. ხელშეკრულების კონტროლი

13.1. ხელშეკრულების შერულებაზე კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების 5.4 პუნტში აღნიშნული პირი.
13.2. „შემსყიდველის“ ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული მომსახურების და ამ მომსახურებისთვის საჭირო საქონლის ხარისხის კონტროლი.
13.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით.
იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით, გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომით ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.
13.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

14. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში;

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

ხელშეკრულება შედგენილია 6 გვერდზე, ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელ მოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი	**ს/ს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“**
მის: ქ.თბილისი, ჩიტაძის ქ.№4	მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ.
საქართველოს ეროვნული ბანკი	„TBC-ბანკი” (მარჯანიშვილის ფილიალი)
	ბანკის კოდი: 220101850
	TBCBGE22
	ა/ა: № GE15 TB110000 01 10 4676 97
	ს/კ: 204478948
ს/კ №204579456;	ტელ: 251 7799 meil: nani@hyundai.ge
დირექტორი	**დირექტორი**
ირინე დახუნდარიძე	**დავით გიორგობიანი**
_____	HYUNDAI AVTO GEORGIA JSC Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC Date: 2022.06.03 15:37:06 +04'00'

სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
ლევან მიქელაძის სახელობის
დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი

დანართი 1

CPV: კოდი	სათადარიგო ნაწილები	რაოდენობა	ღირებ	სამუშ.დასახელება	რაოდენობა	ღირებ.	თანხა
34330000	წინა ამორტიზატორი. მარც	1	250				250
34330000	წინა ამორტიზატორი. მარჯ	1	260				260
34330000	წინა სტერჯენი	2	60				120
სულ							**630.0**
50112000				ამორტიზატორების შეცვლა	2	50	100
50112000				სტერჯენის შეცვლა	2	20	40
სულ							**140.0**
ჯამი							**770.0**

„შემსყიდველი“
სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური
სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი

დირექტორი
ირინე დახუნდარიძე

_____

LEPL The Levan Mikeladze Diplomatic Training and Research Institute of the Ministry of Foreign Affairs of Georgia

Digitally signed by LEPL The Levan Mikeladze Diplomatic Training and Research Institute of the Ministry of Foreign Affairs of Georgia
Date: 2022.06.03 14:08:18 +04'00'

„მიმწოდებელი“
ს/ს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“

დირექტორი
დავით გიორგობიანი

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC

Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2022.06.03 15:37:27 +04'00'